# ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №29

**2014 წლის 6 ოქტომბერი**

**ქ. ოზურგეთი**

## „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 1 სექტემბრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

**მუხლი 1**

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა დებულების დამტკიცების შესახებ'' 2014 წლის 1 სექტემბრის №8 დადგენილებაში (ვებგვერდი, 09/09/2014 სარეგისტრაციო კოდი: (010260020.35.171.016008) და დადგენილებას თანდართული დებულების:

1. სოციალურ საკითხთა დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით.

,,ზ. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების წესებისა და პირობების დადგენის, ადგილობრივი მნიშვნელობის ობიექტებზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის სათანადო ინფრასტრუქტურის განვითარების, ადაპტირებისა და აღჭურვისათვის ღონისძიებათა დაგეგმვის და შესაბამის პროგრამათა პროექტების დამტკიცების შესახებ.

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**ქალაქ ოზურგეთის**
**მუნიციპალიტეტის საკრებულოს** **გელა კობალაძე**
**თავმჯდომარე**